



შირაკი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან
დადოქტორის წყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4(9.914)

29 თებერვალი-7 მარტი 2020 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

დადოქტორის წყაროელ
შუმ პირებს
ეტლები
გადაეცათ
მ.მ. 2



ტარიზანული მოპოვებული ნავთობიდან საქართველოს წვეთიც არ მიუღია!

რა კავშირი აქვს ამერიკელი კონგრესმენების წერილებს „ფრონტერასთან“?



„ჩემთვის
ბედნიერება
სტაბილურობაა“...



მ.მ. 3

1999 წელს, როცა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დადოქტორის წყაროს ესტუმრა და ტარიზანული ნავთობის საბადოს გახსნის ცერემონიას დაესწრო, გემასსოვრებათ მისი უცნაური ფესტი, ნავთობი ჭიქით რომ დააგემოვნა და ყურადღება აქ აღმოჩენილი დიდ მარაგზე გაამახვილა. ცერემონიაზე ითქვა ისიც, რომ „ფრონტერას“ ამოქმედებით საქართველო ბევრ სარგებელს მიიღებდა და სიკეთეს იგრძნობდნენ დადოქტორის წყაროელებიც. იმხანად ამ ინფორმაციამ იმედის სხივი ბევრს ჩაუსახა.

რეალურად კი რადიკალურად განსხვავებული აღმოსწავლა. დღეს, ქართული მხარე პირდაპირ ამბობს, რომ ამერიკულმა „ფრონტერამ“ აღუბული ვალდებულებები დაარღვია და დადოქტორის წყაროში ნავთობის მოპოვების დაწყებამდე დღემდე არცერთი წვეთი ნავთობი საქართველოს არ მიუღია. არადა, კომპანიის ნავთობის მოპოვება ორი ათწლეულის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ამ ხნის მანძილზე საქართველომ პირველად გააბოძა სამართლებრივი პასუხი გაცვა არაპატივისცემის იმედი კომპანიისთვის, რომელიც ყველა ვალდებულებას არღვევს.

ბოლო ხანს ამერიკელი სენატორები საქართველოს ხელისუფლებას არაერთ წერილს უგზავნიან და „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებენ, თითქოს ხელისუფლება ამერიკულ ინვესტიციებს აფერხებებს, ამის მაგალითად კი „ფრონტერა“ მოჰყავთ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური კრიტიკული პოზიცია, არამედ ეს მხოლოდ კონკრეტული კონგრესმენების სუბიექტური მოსაზრებაა. როგორც გაირკვა, ყველა წერილის ავტორი ფინანსურ სარგებელს იღებდა „ფრონტერასგან“ და პირადი დაინტერესება ჰქონდა. ამდენად, ოპოზიციის შეფასება, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაიძაბა, რეალობას არ შეესაბამება.

ქართული მხარე ხაზგასმით ამბობს, რომ „ფრონტერას“ დადოქტორის წყაროში ნავთობის მოპოვების ნაწილიდან, ოპერირების დაწყებამდე დღემდე, სახელმწიფოსთვის 1 წვეთი ნავთობიც არ გადაუცია! არადა 90-იან წლებში ამერიკულმა კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ თანამშრომელი ნავთობიდან ბარკეულ ნიღს ქართული მხარეს მიიღებდა. ამ ვალდებულების დაარღვევის გამო ქართული მხარე საერთაშორისო არბიტრაჟში მიმართა, რამაც ამერიკელების ბაიზინიანება და კრიტიკული წერილების მომზადება გამოიწვია. ბაიზინი არაა, რომ რამდენიმე კონგრესმენი „ფრონტერასგან“ წლების მანძილზე ფინანსურ შემოსავლებს იღებდა, ეს კი იმ ფონზე, როცა დადოქტორის წყაროს საბადოს თანამშრომლების ხელფასებს თვეობით ვერ გაცემდნენ.

გაზეთ „შირაკის“ ინფორმაციით, საქართველოსა და ამერიკულ კომპანია „ფრონტერას“ შორის ხელშეკრულება 1997 წელს გაფორმდა და მკაფიოდ განისაზღვრა, ვის რა უნდა გაეკეთებინა, ან რა სარგებელი უნდა ჰქონოდა ნავთობის მოპოვებიდან საქართველოს.

„ეს არის ნავთობის პროდუქციის ნიღობრივი განაწილების ხელშეკრულება, სადაც ნათქვამია, რომ მოპოვებული ნავთობით ორივე მხარე ისარგებლებდა და ცხადია ამ ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ნაწილი საქართველოსაც უნდა შეხვედროდა. კომპანია ამ წლების განმავლობაში ნედლეულს მოიპოვებდა, მუშაობა არ გაუჩერებია, თუმცა, არცერთხელ არ გადაუცია ქართული მხარისთვის რაიმე ფინანსური სარგებელი“, - აცხადებს საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის წარმომადგენელი ვაჟა ხიდაშელი.

ქართული მხარის სახელით საერთაშორისო არბიტრაჟში სწორედ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ჩივის. სასარჩელო განცხადებაში საქართველო ითხოვს, კომპანია „ფრონტერა“ ისტერნი ჯორჯიაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს და წლების მანძილზე მიღებული მოგების ნიღი საქართველოს აუნაზღაუროს.

ამას გარდა, ქართული მხარე იმ ტერიტორიების დაბრუნებასაც ითხოვს, რომელიც „ფრონტერას“ დადოქტორის წყაროს მუნიციპალიტეტში დაკავებული აქვს, თუმცა იქ ნავთობმოპოვებით სამუშაოებს არ აწარმოებს.

„საკონტრაქტო ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც კონტრაქტორმა რესურსები ვერ აღმოაჩინა, ან ვერ დაიწყო სამუშაოები დადგენილ

დროში, უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს. საუბარია ტარიზანული მიღებარე 5 000 კვადრატული კილომეტრის ფართობზე, საიდანაც ფრონტერამ მხოლოდ 50 კვადრატული კილომეტრის ათვისება-გამოყენება მოახერხა, უზარმაზარი ფართობი კი ათეულობით წელია უფუფუნოდ აქვს დაკავებული“, - აღნიშნავენ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში.

26 თებერვალს კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ნუგზარ პაპიაშვილი ნავთობკომპანია „ფრონტერას“ თანამშრომლებს შეხვედნენ და მათ ხელისუფლების თანადგომა კიდევ ერთხელ გამოუცხადეს.

ჯერ უცნობია, როგორ დასრულდება ქართული მხარისა და ფრონტერასს შორის სასამართლო არბიტრაჟი. სასამართლო დავა გრძელდება საქართველოშიც. კვლავაც გაურკვეველია 11 თვეანი სახელფასო დავა-დაპირისპირება, რომელიც დადოქტორის წყაროს საბადოზე დასაქმებულ მუშებს ამ დრომდე არ მიუღიათ. არადა, 17 დეკემბერს 84 თანამშრომელი პროტესტის ღიად გამოხატვის გამო სასამართლოდან გაათავისუფლეს. გასულ დღეებში მათ რამდენიმე საპროტესტო აქცია გააპირეს რომელიც თბილისში, ფრონტერას ოფისთან, ისე ამერიკის საელჩოსთან, ასევე აქციები ჩატარდა დადოქტორის წყაროშიც. რა შედეგს მოიტანს სამართლებრივი ბრძოლა, ამას მოგვალე გვიჩვენებს.

ირაკლი კობახიძე - შეხვედრის მიზანი არ იყო მოლაპარაკების გაგრძელება სარჩევნო სისტემაზე, განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები, მათ შორის საარჩევნო სისტემის თემა, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, საარჩევნო თემასთან დაკავშირებით დაისვა კითხვები. მისივე თქმით, საუბარი იმაზე, რომ შეხვედრაზე მოხდა 110/40-ზე ფორმატის შეთავაზება, სიმართლე არ არის.

„დღევანდელი შეხვედრის მიზანი არ იყო მოლაპარაკების გაგრძელება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. სხვადასხვა საკითხს განვიხილავდით, მათ შორის საარჩევნო სისტემის თემას, რადგან ეს არ იყო მოლაპარაკების ფორმატი. ასე არ ხდებოდა, რომ ჩვენ რაღაცას ვთავაზობდით და ოპოზიცია გვპასუხობდა ან პირიქით. სხვადასხვა საკითხზე იყო საუბარი, როგორც პროპორციულზე, ასევე მაჟორიტარულზე, საუბარი იყო მაგალითად 40%-ზე. იცით, რომ ოპოზიცია აცხადებს, თუ პარტია იღებს 40%-ზე ნაკლებს, მას არ უნდა ჰქონდეს უმრავლესობის მიღების საშუალება. ასეთ საკითხებზე ბუნებრივია, იყო საუბარი. ეს არ იყო მოლაპარაკებები შეხვედრის, არ მომხდარა არც რაღაც საკითხის, წინადადების დაყენება და არც პასუხის მიღება. განვიხილეთ სხვადასხვა ასპექტი, რომელიც უკა-

ვშირდებოდა საარჩევნო სისტემას. როგორც ასეთი წინადადება, რომ 110/40-ზე ასეთი რამ ჩვენი მხრიდან არ დამდგარა. ეს იყო დისკუსია სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით“, — განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, მსგავსი ფორმის შეხვედრები ხელს შეუწყობს, რომ საბოლოო ჯამში მოხდეს შეთანხმება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის ელჩი კარლ შარცელი, გერმანიის ელჩი ჰუბერტ ქნირში და აშშ-ის ელჩის მოადგილე ელიზაბეთ რუდი საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი კობახიძე, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები გრიგოლ ვაშაძე და თინა ბოკუჩავა, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით უსუფაშვილი, „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი, სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარე გია ჟორჯოლიანი, ასევე დამოუკიდებელი დეპუტატები თამარ ჩუგოშვილი და მარიამ ჯაში.

გერმანიის ელჩი - მხარს უჭერს და ოპოზიციის მოწოდებებით ქარგი და ნარმატიული შეხვედრა შედგა

საქართველოში გერმანიის ელჩი ჰუბერტ ქნირში აცხადებს, რომ დიპლომატიის, მმართველი გუნდისა და ოპოზიციის წარმომადგენლების მონაწილეობით დღეს ნარმატიული შეხვედრა შედგა.

როგორც გერმანიის ელჩმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, დღეს კონკრეტული შედეგისთვის არ მიუღწევიათ, მაგრამ მოლაპარაკებების პროცესის საბოლოო შედეგი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

„ეს იყო მხოლოდ არაფორმალური შეხვედრა პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს შორის, მაგრამ ყველამ იცის, რა საკითხები არის მნიშვნელოვანი.

იყო ძალიან კარგი შეხვედრა. შეხვედრით, რა ნათელი და კარგი დღეა. ეს იყო კარგი და ნარმატიული შეხვედრა. ჩვენ არ მიგვიღწევია ამ პროცესის შედეგისთვის, თუმცა აქ მყოფი ყველა მუშაობს ამისთვის. ამას დრო სჭირდება და გთხოვთ მოთმინებას. უახლოეს დღეებში გვეცოდინება, რა შედეგი გვექნება“, — განაცხადა ჰუბერტ ქნირში.

ევროკავშირის ელჩი კარლ შარცელი, გერმანიის ელჩი ჰუბერტ ქნირში და აშშ-ის ელჩის მოადგილე ელიზაბეთ რუდი საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

დედოფლისწყაროში შშმ პირებს ავტობუსი გადაეცა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წარმომადგენლებთან ერთად დედოფლისწყაროში შშმ პირებს ეტლები გადასცეს. საქველმოქმედო აქციის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებულად შეჭირვებულ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ტანსაცმელიც დაურიგდა. ღონისძიება საერთაშორისო ორგანიზაციამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აქტიური მხარდაჭერით განახორციელა.

კორონისტარია ანუ კორონავირუსული გროტესკი ქართულად

საქართველო მსოფლიო რუკიდან, როგორც მწვანე და უსაფრთხო ზონა, გაქრა და იმ 50 ქვეყანას შეუერთდა, სადაც კორონა ვირუსის შემთხვევები დაფიქსირებულია. ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა, ინფორმაციის გავრცელებიდან რამდენიმე წუთი და არა საათი აღმოჩნდა საკმარისი, რომ მთელი ერი პანიკაში ჩავარდნილიყო. თბილისის სუპერმარკეტებში რიგი დადგა. მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც ფული ჰქონდა, პროდუქტების მარაგის შეძენას შეუდგა. თუ ასეთ მიდგომას გავაგრძელებთ, ცოტა ხანში საკვები პროდუქტის დეფიციტის წინაშე აღმოვჩნდებით. თუმცა, როგორც იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელია“ და ვირუსის გამო რიგ ქვეყნებთან ჩაკეტილი საზღვრებისა და ტურისტული ნაკადის შემცირებით გამოწვეულ ზარალს ქართველი მომხმარებელი ანაზღაურებს (!?)

რას ვიზამთ, სამყაროში ბალანსი აუცილებელია და ის რა ფორმით ან რა

ა(ცხადებენ, რომ ნიღბების დეფიციტს მალე შეავსებენ, მაგრამ ფასი კვლავ გაურკვეველია(!))

სოციალურ ქსელში უკვე თვალსაჩინო გახდა ხალხის სეპტიკური და აგრესიული დამოკიდებულება ქვეყნის მთავრობის მიმართ: დინყო ლანძღვა-გინება იმის თაობაზე, რომ ასეთი უფარგისა ქვეყნის მზაობა ახალ კორონავირუსთან შეჭიდების, რომ არაფრის მაქნისია მთავრობა და გაპარტახებულია ჯანდაცვა... სოციალური ქსელებიდან უკვე ისმის მავანთა სკანდირება- „მოგვეცი თიღები!“ ან/და „სრულად ჩაკეტეთ საზღვრები!“

მაშინ, როცა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ძლიერი ქვეყანა, როგორც ამერიკაა, შესაბამის ვიდუო კლიპებს ავრცელებს და მოსახლეობას მოუწოდებს, ტყუილად ნუ ამოწურავენ ნიღბების მარაგს ქვეყანაში, რადგან შესაძლოა მათზე ხელმისაწვდომობა აღარ იყოს იმ პირებისთვის, ვისაც ეს მართლა სჭირდება...

მაგრამ კარგად აქვთ გააზრებული, რომ პანიკა და შიში გამოსავალი არ არის. საფრანგეთში ეპიდემიის საფრთხეა, - ეს განცხადება ქვეყნის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა ერთ საავადმყოფოში ვიზიტის დროს გააკეთა. „ჩვენ კრიზისის, ეპიდემიის წინაშე ვართ, ის მოდის, ამას უნდა შევუდგეთ და ყველაფერი გავაკეთოთ საბრძოლველად“, - განაცხადა ემანუელ მაკრონმა.

სასაზღვრო გამტარ პუნქტებში კორონავირუსის პრევენციის მიღებული ზომების შესახებ შსს განაცხადებას ავრცელებს. სამინისტრო განმარტავს, რომ ამ დროისთვის, მაღალი რისკის ქვეყნებზე განსაზღვრულია ოთხი სახელმწიფო: ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ირანი და იტალია. ასევე, რისკ ჯგუფად განისაზღვრა ყველა იმ მესამე ქვეყნის და საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რისკის ზონად ნომინირებულ სახელმწიფოებში.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრების მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში ამონებენ ზემოაღნიშნული ქვეყნებიდან შემომავალ მგზავრებს, ასევე, იმ მოქალაქეებს, რომლებიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ ხსენებულ სახელმწიფოებში. მგზავრთა ინტენსიური შემოწმება მიმდინარეობს სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში: „ნათელი ხიდი“, „სადახლო“, „სარფი“ და „დარიალი“, ასევე, საჰაერო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში — საქართველოს სამივე აეროპორტში: თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. გარდა ამისა, აღნიშნულ გამტარ პუნქტებში მუდმივად მორიგეობს სამე-

დიცინო პერსონალი. აღნიშნულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მესაზღვრის მიერ ხდება ქვეყანაში შემომსვლელი მგზავრის რისკის პირველადი შეფასება,



მისი ე.წ. მოგზაურობის ისტორიიდან გამომდინარე და საჭიროების შემთხვევაში, მისი ადგილზე მყოფ მორიგე ექიმთან გადამისამართება. რაც შეეხება სხვა სასაზღვრო გამტარ პუნქტებს, მესაზღვრის მიერ რისკის დაფიქსირების შემთხვევაში ხდება სამედიცინო ბრიგადის გამოძახება, რომელიც ამონებს მგზავრს და შედეგის მიხედვით ტარდება შესაბამისი პროცედურები. საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში, 25-დან 30 ათასამდე მოქალაქე შემოდის. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში შემომსვლელი მგზავრი ბოლო ორი კვირის განმავლობაში არ იმყოფებოდა ოფიციალურად განსაზღვრულ რისკ ჯგუფის ქვეყანაში, მისი საგადასვლელი სამედიცინო შემოწმება არ ხდება. ასევე, გაცნობებთ, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ჟურნალისტებს შეეზღუდოთ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში თავისუფალი გადაადგილება, - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.



საშუალებებით იქნება მიღწეული, ამას არსებითი მნიშვნელობა არც აქვს...

კორონა ვირუსის ოფიციალურ დადასტურებამდე, მოსალოდნელი შიშის გამო, სრულად დეფიციტური გახდა ქირურგიული თუ სხვა ტიპის ნიღბები აფეთიაქებში... დეფიციტამდე კი მათი ფასი 15 თეთრიდან 1.40 ლარამდე გაიზარდა. სააფთიაქო ბიზნესის წარმომადგენლები

მითია, რომ ნიღბი დავიცავს კორონავირუსისგან ან სხვა ვირუსებისგან ყოველდღიურ ცხოვრებაში, ანუ ქუჩაში სიარულისას, მოლოში სერნობისას და ასე შემდეგ...

ნიღბი საჭიროა, რომ ეკეთოდ უკვე ინფიცირებულ პირებს, რათა შეიზღუდოს ინფექციის მათგან გავრცელება!

და აუცილებელია, რომ ნიღბი ეკეთოს ყველა იმ სამედიცინო პერსონალს, ვისაც პირდაპირი და ახლო კონტაქტი აქვს ინფიცირებულ პირთან, რათა დაიცვან საკუთარი თავი და შეძლონ საქმიანობის გაგრძელება და სხვა პაციენტების დახმარება.

და ბოლოს, რუსთაველის ქვეყანაში ყველას ავინყდება მისი აფორიზმი: „შიში ვერ იხსნის სიკვდილს, ცუდია დაღრეჯილობა“... ეს აფორიზმი არ იციან საფრანგეთში,

„ჩემთვის ბედნიერება სტაბილურობაა“...

დედის დღე, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დაანუსა. პირველი პრეზიდენტის გადაწყვეტილება 1991 წელს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა...

დედის დღეს საქართველოში, ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი უნდა შეეცვალოს, თუმცა, 3 მარტი, როგორც დედის დღე, ცალკე აღინიშნება. ამ დღეს მსოფლიოს 46-ზე მეტი ქვეყანა ზეიმობს. ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს, რომელიც 1910 წლიდან იღებს სათავეს და ქალთა უფლებების დაცვას უკავშირდება, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აღინიშნავენ. არც ჩვენი ქვეყანა გამონაკლისი. ამ დღეს ქალთა უმრავლესობა განსაკუთრებულად ელის. იღებენ საჩუქრებს, მილოცვებს...

ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან არაერთი რიგითი მოქალაქის თუ რაიონის ცხოვრებაში განსაკუთრებული ღვაწლის მქონე ადამიანების ისტორიები ნაუკითხავს ჩვენს მკითხველს, რადგან ვცდილობთ, არ დაგვრჩეს ჩვენი ძვირფასი თანამემამულეების ცხოვრება უყურადღებოდ. დღეს გადავწყვიტეთ, ქალთა დღეების მილოცვასთან ერთად ინტერვიუ ჩვენერთან ახალგაზრდა გოგონასთან, პედაგოგთან, რომლის რამოდენიმე წლიანი პედაგოგიური საქმიანობა მუნიციპალიტეტის ცენტრიდან უკიდურესად მოშორებულ სოფელ საბათლოში ყურადღების მიღმა დაგვრჩა და ამით დავაკომპენსირებთ ჩვენი მის მიმართ გამოტოვებული ინტერესი.

გვესაუბრება ამჟამად მარნეულის საჯარო სკოლის ქართული ენის პედაგოგი თამარ მანუჩარაშვილი:

მოკლე ბიოგრაფია : თამარ მანუჩარაშვილი, 28 წლის, ღვაწლადი პედაგოგის რაიონში. დაბადდა 2009 წელს. მამამისი გარდაიცვალა. უნივერსიტეტი ფილოლოგიის განხრით და სწავლის დასრულებისთანავე ბანათლოში სამიწისტროს ერთ-ერთი

პროექტით აღმოვიჩინე დედოფლის-საროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოს საჯარო სკოლაში ქართული მასწავლებლად. საბათლოში ხუთი წელი ვიმუშავე და გულწრფელად ვფიქრობ, საკმაოდ დიდი გამოცდილება მომცა, რომელიც მასწავლებელს, ძალს და პიროვნულად ფაქტობრივად ბაღა-შსსეზაფარდი.

თუმცა მომინია სკოლის დატოვება რიგი მიზეზების გამო და დღეს ვასწავლი მარნეულში, ასევე ეთნიკურ უმცირესობას. (აზერბაიჯანელებს.)

-თამარ, რას ნიშნავს შენთვის ქალთა დღე და დედის დღე? რით გამოარჩევ ამ თარიღებს და რომელი უფრო მნიშვნელოვანია?

ბანალური ვიქნები და გეტყვი, რომ ყველა დღე ჩვენია(ქალების, დედების.) არ მიმაჩნია სწორად ასე დაყოფა. თუ მკითხავთ, რომელი, სამი მარტი თუ რვა მარტი, მე გეტყვი, რომ სამი მარტი. ბავშვობიდან მგონია, რომ ამ დღეს დედა განსაკუთრებით ანათებს.დედაჩემი დღემდე ინახავს ჩემს გაურკვევლად დანერგულ წერილებს და ჰო, ეს მგონია ბედნიერება.ყველა მატერიალურზე მნიშვნელოვანია მათი ღმერთი.

-იმისთვის რომ ქალმა თავი ბედნიერად იგრძნოს, რა უმთავრესი პირობაა საჭირო და ზოგადად, როგორ გეხმოს ეს მცნება „ბედნიერება“?

ჩემთვის ბედნიერება სტაბილურობაა. სტაბილურობა ოჯახში, სამსახურში, პირად ცხოვრებაში, სიმშვიდე, თითოეულ ადამიანში ვეძებ ამას, ვინც კი გვერდით მყავს.

-შენ როგორ ფიქრობ, ვართ დღეს ქალები საკმარისად ხელშეწყობილი, რომ გვექონდეს საკუთარი თავისადმი პატივისცემა და ბედნიერების განცდა?

-დავფიქრობ. ეს კითხვა არასოდეს დამისვამს ჩემი თავისთვის. მაგრამ იცით რა? გააჩნია რა კუთხით შევხედავთ. პატივისცემა საკუთარი თავის თავად უნდა

გქონდეს.ამაში ხელს ვერაფერს შეგინდობს. მაგრამ, როცა საკუთარ თავს სცემ პატივს, მერე ავტომატურად მიუთითებს სხვას, მოგეცეს ისე, როგორც იმსახურებ! აი, რაც შეეხება ბედნიერებას, ქვეყანაში ზოგად მდგომარეობას თუ გადავხედავთ, ქალების უმეტესობა არსებობისთვის, შვილების გამოსაკვებად იბრძვის.

-საერთოდ, ცვლის თუ არა ჩვენს ცხოვრებაში კონკრეტული დღესასწაულები ოდნავ მაინც განწყობას, სულ ცოტა ხნით მაინც?

-კი, კი. დღესასწაულები არ მიყვარს. საკუთარი დაბადების დღეც კი არ მიყვარს, მაგრამ რა თქმა უნდა, განწყობა მომენტალურად მაინც მეცვლება.ახლა ვერაფერს დამაჯერებს, რომ თუნდაც რვა მარტს კიდევ უფრო სხვანაირად არ გრძნობს თავს.

-ყველაზე მეტად რა გვაკლია დღეს ქალებს?

სიმშვიდე, სიმშვიდე და სიმშვიდე. სულ რაღაცისთვის ვიბრძვით, სულ რაღაცის მტკიცებაში ვართ, სულ გვინდობს იმაში დარწმუნება, რომ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია დამოუკიდებლად. დღემდე მინდვს მე პირადად იმის მტკიცება, რომ „სუსტი“ სქესი არ ვარ. არ მომწონს ეს ფრაზა.

-სულ ცოტა ხანს შენს სურვილზე რომ იყოს, რას შეცვლიდი ჩვენი სახელმწიფოს ქალებისთვის ყველაზე პირველად?

-ქალები, ზემოთაც ვთქვი, ვიბრძვით! ჯერ კიდევ ე.წ „ბნელი 90-იანებიდან“ აიღეს ქალბებმა მხრებზე ოჯახის რჩენის ტვირთი და დღემდე ასე გრძელდება თუ გადავხედავთ ჩვენი ემიგრანტების რიცხვს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ქალებს სიმშვიდე აკლიათ.

დიდი პრობლემაა ამ მხრივ უწყებებში. ხანდახან იმდენად გულგრილად გეტყვიან, რადგან ქალი ხარ, სურვილი გეკარგება შენი პრობლემის მოგვარების. სტრესზე მეტ სტრესს გიმტებენ და საბოლოოდ ვიღებთ ქალებს ტაბუდად-



ბული ისტორიებით და „ნატკენი ფსიქიკით.“

-როგორც ქალის და მომავალში დედის, ყველაზე დიდი ოცნება რა არის?

-მყარი დასაყრდენი. მე ვთვლი, რომ მივეკუთვნები იმ ქალების კატეგორიას, შიშები გვერდით რომ მოისროლა და იცით რა? გულწრფელად მინდა ასეთივე მეთრეხილვარი ჩემი სიძლიერის მიუხედავად რომ მეგულებოდეს.

და კიდევ დავამატებ რაც ყველაზე მთავარია, სულიერი სიმშვიდე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ თქვენი რედაქციის შესანიშნავ ქალთა გუნდს 8 მარტი და დედის დღე, აქ მარნეულშიც ვგრძნობ თქვენს გულითად მხარდაჭერას!

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

ქალი, რომელიც ქალადობის ობიექტი

საქართველოში ქალის კულტი ყოველთვის გამოჩენილი იყო. დედა, სამყაროს ცენტრი, ოჯახის ბურჯი იყო, ქვეყნისთვის შვილების სწორად აღზრდელი და არა მხოლოდ გამზრდელი... კი, ადრეულ საუკუნეებშიც იყო ქალი ძალადობის მსხვერპლი, ჯერ ოჯახში-მამას და ძმას ემორჩილებოდა, მერე-ქმრის სურვილების უსიტყვო შემსრულებელი უნდა ყოფილიყო. არც მეორე ნახევრის არჩევასას ჰქონდა რაიმე თავისუფლება- წინააღმდეგობის განვიხილავს მუდამ ის მარცხდებოდა, მსხვერპლშენიშვნის - „ბედნიერი ქორწინების ცერემონია“ ნათესავები და ოჯახის წევრები იდეალურად ასრულებდნენ... მაგრამ დრო შეიცვალა, შეიცვალა თვითონ ქალიც. მან გაიზარა, რომ მდებარე დიდი ძალა აქვს. ის ხომ ახალი სიცოცხლის წყაროა, ღმერთის საიდუმლოსა და სამყაროს ყველაზე დიდი სასწაულის შემოქმედი...

დრო შეიცვალა, ქალიც შეიცვალა, მაგრამ არ შეიცვალა საზოგადოება საქართველოში.რეალური სურათი ხშირად გვაგონებს კადრებს კინოფილმიდან „ნატკენის ხე“, სადაც ქალი თავიდანვე განწირულია... ის განწირულია უსიყვარულოდ ცხოვრებისათვის, მის მაგივრად გადაწყვეტილებებს სხვები იღებენ, პასუხს კი ისევ მას სთხოვენ, ხშირად უსამართლოდაც ექცევიან...

„მეუღლე ჩემზე ფსიქოლოგიურად ძალადობს. უკვე მეშინია არ გავგიჟდე, ვსვამ დამამშვიდებელ პრეპარატებს, მაგრამ ისიც აღარ მშველის. 2018 წელს ფიზიკური შეურაცხყოფა მომაცნა. ტელევიზორის პულტი მესროლა სახეში. გამოვიძახე სასწრაფო, ვეფიქრე ფსიქიატრიულში გადაიყვანენ-მეთქი, მაგრამ როცა ექიმებმა მომხდარის შესახებ შეიტყვეს, პატრული გამოიძახეს და დააკავეს. რამდენიმე თვე იხდიდა სასჯელს. მას შემდეგ ფიზიკურად არ უძალადია.“- ამბობს ხათუნა.

ის ჩვენი საზოგადოების კრებითი სახეა. სახე, რომლის უფლებებსაც ხშირად ლახავენ. დაუცველია, რადგან

ჩვენს ქვეყანაში არსებობს თავშესაფრები, მაგრამ არ არსებობს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტია და საფუძველი. ძნელია, რამდენიმე შვილის გაზრდა და მუშაობა ერთმანეთს შეუთავსო ისე, რომ დამსაქმებელმა შენს სამსახურში აყვანაზე უარი არ თქვას... პრობლემა, რომე-



ლიც ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა უნდა გადალახონ, კომპლექსურია და საზოგადოებისა და სახელისუფლებო სტრუქტურების ერთად დგომას მოითხოვს.

„რას ვურჩევდი ახალგაზრდა ქალებს? უპირველესად, ქალებმა უნდა გავიგოთ და გავაანალიზოთ, თუ რა გვინდა. ზუსტად უნდა ვიცოდეთ ის, რისკენაც მივდივართ, ჩვენი სურვილითაა განვირობებულნი თუ საზოგადოების მოლოდინით? რაც უნდა რთული იყოს, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ თავი დავიხსნათ სოციალური მოლოდინებისგან“-ამბობს ერთ-ერთი ფემინისტი. „მე მინ-

და ვიცხოვრო ისეთ ქვეყანაში, სადაც ყველა, განსაკუთრებით კი ქალები, თავისუფალნი იქნებიან. მე მინდა, რომ შემდგომი თაობები გაცილებით უფრო ნაკლებად გრძნობდნენ წნეხს და ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობდნენ, სადაც ადამიანებს აფასებენ არა მხოლოდ სქესის, რასის, გენდერული კუთვნილობისა

და ა.შ. მიხედვით, არამედ ალიქვამდნენ როგორც პიროვნებებს...“

2020 წელს მამაკაცების მიერ მოკლული უკვე 6 ქალია. მათ შორის ზოგი ყოფილი მეუღლეა, ზოგი-მშობელი. სტატისტიკა საგანგაშოა, ფაქტები მასზე უფრო შიშველია. დამაფიქრებელია საზოგადოების რეაქცია: მოკლული ქალის შვილი-სამლო გადაცვლივარა საუბრობენ მიუზიკლები, ნათესავები... ნაკლებია თანაბრდრობა და სიბრალული. საზოგადოება მეტად შიშველია რეაქცია კაცების მიმართ, მათ შორის მათი ღალატის მიმართაც...

მომზადდა
ინგა შიოლაშვილი

ქლიერი ქალები, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს


არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ რაც ქალებმა საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა დაიწყეს. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა წინ კიდევ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი. ქალებზე კვლავ ძალადობენ, მათთვის ისევ არის სამუშაო ადგილების პრობლემა, მსოფლიოს პარლამენტებში ისევაა გენდერული დისბალანსი. კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც იტყვიან - „აბა ქალებს რა შეუქმნიათ“. შეუქმნიათ და კვლავაც ქმნიან. ნებისმიერ დარგში არიან ქალები, რომლებმაც ეპოქა შექმნეს, სხვების ცხოვრება შეცვალეს. არიან ძლიერი ქალები, რომელთა მცირე ნაწილს ვიცნობთ, ძალიან ბევრს კი, არა. სიის შედგენა მარტივი აღმოჩნდა, თუმცა მისი შემცირება ნამვილად რთული.

მარბარა ტიტჩინი („რკინის ლედი“) - „იყო ძლიერი, დაახლოებით იგივეა, რომ იყო ქალი. თუკი ხალხისთვის ამის მტკიცება გინდებოდა, ესე იგი, არ ხარ ასეთი“ - ეს სიტყვები უაღრესად საინტერესო ქალ-ფენომენს ეკუთვნის. ქალს, რომელმაც არამარტო დიდი ბრიტანეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ერთი კონკრეტული ეპოქის პოლიტიკური გარემო სრულიად შეცვალა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ტეტჩინის გამოსვლა 1975 წელს უკავშირდება, როცა ის გაერთიანებული სამეფოს კონსერვატიული პარტიის პირველ ქალ ხელმძღვანელად აირჩიეს. 1979 წელს მარგარეტი გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი გახდა. უინსტონ ჩერჩილის მსგავსად, ის უდიდესი პოლიტიკოსი იყო. ალბათ, სწორედ ამ მსგავსების გამო აღნიშნავდა ლეონიდ ბრეჟნევი - „მარგარეტ ტეტჩერი ცდილობს ატაროს უინსტონ ჩერჩილის მარჯვლი“. ტეტჩერის შიდა პოლიტიკური პრიორიტეტები თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების პრივატიზაცია, ნაციონალიზაცია და ინდივიდუალიზმი (სახელმწიფოს საკუთარი თავის იმედად ყოფნა) გახდა. იქამდე კი ტეტჩერს ერთი წამითაც არ შეუძლებია თავისი სოციალური რეფორმების სიხისტე, მან უფრო მეტად დაიტირთა თავი, დღე-ღამეში მხოლოდ 3-5 საათი თუ ეძინა: „ჩემი ცხოვრება - ჩემი სამსახურია. ზოგი მუშაობს იმისთვის, რომ იცხოვროს, მე კი ვცხოვრობ იმისთვის, რომ ვიმუშაო“, - აღნიშნავდა ის.

ის არასდროს ერთდებოდა მკაცრი და დაუნდობელი ტონით ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლების მხილებას. ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც ტეტჩერს მეტ-მაკლებად გამოსდიოდა თანამშრომლობა, დედოფალი ელიზაბეტ მეორე გახლდა. რკინის ლედიმ თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ამქვეყნად მიუღწეველი არაფერია, თუ არსებობს სათანადო პოლიტიკური ნება და მზაობა აქტიური და უკომპრომისო მოქმედებისათვის. 1992 წელს, როდესაც მარგარეტმა თემთა პალატის წევრობაზე უარი თქვა და პოლიტიკიდან წავიდა, დედოფალმა მას ბარონესა ტიტული უბოძა და ნება დართო სიკვდილამდე ლორდთა პალატის წევრი ყოფილიყო. პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ტეტჩერმა დაწერა წიგნი „სახელმწიფოს მართვის ხელოვნება“. მან შეძლო, ბრიტანეთი ექცია მოდერნიზებული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოდ, განემტკიცებინა ქვეყნის პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე. ამისათვის მას დაახლოებით 11,5 წელი დასჭირდა-ხელისუფლების მართვის სადავეების ესოდენ დიდი ხნით ფლობა კი მე-20 საუკუნის არცერთ ლიდერს არ ღირსებია. სწორედ ამაში მდგომარეობს რკინის ლედის ფენომენის უნიკალურობა.

დედა ტირია - ვინ წარმოიდგენდა, რომ 1910 წელს მაკენდონის ქალაქ სკოპიეში, აქაურ ალბანელთა ოჯახში დაბადებული ბენის ბონიპეტი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გავლენიანი ქალი გახდებოდა. დედა ტერეზას ცხოვრებაში არაერთი ისეთი რამ უთქვამს, რაც, წესით, მკრეხელობად უნდა მონათლულიყო. მაგალითად, ერთხელ წმინდა იოანეს სიტყვების თავისუფალ ინტერპრეტაციას მიმართა: „რა უფრო მნიშვნელოვანია, გიყვარდეს ის, ვისაც ვერ ხედავ, თუ გიყვარდეს ის, ვინც შენს გვერდითაა და იტანჯება... რა

უფრო მნიშვნელოვანია, ქრისტეს სიყვარული თუ მოყვასის სიყვარული? - და თვითონვე უპასუხა ამ კითხვას: რა თქმა უნდა, მოყვასის, ცოცხალი და ტანჯული ადამიანის სიყვარული“. ეს თქვა, მაგრამ მისი გავლენა იმდენად დიდი იყო, იმდენად უყვარდა იგი ყველას, ვისაც მასთან შეხება ჰქონდა, რომ არათუ პროტესტი გამოთქვა ვინმემ, პირიქით. მიუხედავად იმისა, რომ მისი ორდენი



არამარტო კათოლიკეებს ეხმარებოდა, კათოლიკური ეკლესია ყოველთვის ამაყობდა დედა ტერეზას მოღვაწეობით და ყოველმხრივ უწყობდა ხელს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დედა ტერეზას კონგრეგაცია „სიყვარულის დები“ კალკუტაში გადავიდა ლაოზებისა და ავადმყოფებისთვის სკოლების, საავადმყოფოების გასახსნელად. 1989 წელს დედა ტერეზა თბილისში ჩამოვიდა და თავისი ორდენი საქართველოშიც გახსნა. მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო მისი გარდაცვალებამდე-1997 წლის 13 მაგისტრად. სიცოცხლის სიყვარულით და სიხარულით მკურნალობდა. თუმცა თავისი წიგნი - „არ არსებობს იმაზე დიდი სიყვარული“ - დედა ტერეზამ საკმაოდ უცნაურად დაიწყო: „მე ვფიქრობ, არავის ისე არ სჭირდება ღმერთის დახმარება და წყალობა, როგორც მე. ხშირად თავს ისე უსუსურად და უძლიერად ვგრძნობ...“

ინდირა ბანდო - ინდირა განდიმ არა მარტო ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია, როგორც პოლიტიკოსმა, არამედ სამუდამოდ შეინარჩუნა თავისი ხალხის გულში „სრულიად ინდოეთის დედა“ სახელი, ღვთაებასთან მიახლოებული სიმბოლო. ინდირას ცხოვრებაში პოლიტიკურ გამარჯვებებს გამუდმებით თან სდევდა პირადი უბედურებები. 5 წელზე ნაკლებ დროში მან დაკარგა თავისი ცხოვრებაში ორი ყველაზე მთავარი მამაკაცი-1960 წელს მეუღლე გარდაეცვალა, ხოლო 1964 წელს-მამა. 1964 წელს ის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატი გახდა, ხოლო უკვე 1966 წელს, მთავრობის მეთაურის, ლალ ბაჰადურ შასტრის გარდაცვალების შემდეგ ინდოეთის ეროვნულ კონგრესს ჩაუდგა სათავეში და ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც გახდა. ამბობდნენ, რომ ინდირა განდიმ პოლიტიკური კარიერა მამის ავტორიტეტზე აიშენა. თუმცა ინდოეთის პოლიტიკურ ოლიმპზე ყოფნის 18 წლის განმავლობაში ინდირამ დაამტკიცა, რომ ასეთი მოსაზრებები ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული. „ბაბუამ ერთხელ მითხრა, რომ არსებობენ ორნარი ადამიანები: ისინი, ვინც საქმეს აკეთებენ და ისინი, ვინც მათ წარმატებებს საკუთარ თავზე მიიწერენ“-თქვა ინდირამ ერთ-ერთ ინტერვიუში, „ბაბუამ მითხრა, რომ ვერცალო პირველი ჯგუფის ადამიანებში ვიყო - იქ კონკურენცია ბევრად ნაკლებიაო“. პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას ინდირა განდიმ მთელი რიგი გადაწყვეტილებები მიიღო, რომლებმაც ინდოეთის დამოუკიდებლობის

განმტკიცებას შეუწყეს ხელი. მოახდინა ბანკების ნაციონალიზაცია, ააშენა პირველი ატომური ელექტროსადგური, დაჩქარებული ტემპებით ვითარდებოდა მიძიე მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში გატარებული წარმატებული რეფორმის შედეგად ინდოეთმა სასურსათო დამოუკიდებლობაც მოიპოვა და იმპორტირებულ სურსათზე აღარ იყო დამოკიდებული. მაგრამ განდის ყველა გადაწყვეტილებას წარმატებულს ვერ

ვუნდებო. 1977 წელს მან მოახერხა „ოჯახის დაგეგმარების“ პროგრამის გატანა, რომელიც ლატაკთა იძულებით სტერილიზაციას ითვალისწინებდა. ეს კი საპარლამენტო არჩევნების წაგების ფასად დაუჯდა. უკვე სამი წლის შემდეგ ინდოეთში მიხვდნენ, რომ ოპოზიციური ძალები მათ უფრო ნაკლებად აწყობდათ. და ინდირაც სილატაკესთან შეურიგებელი ბრძოლის ლოზუნგით პრემიერის საფარველში ბრუნდებოდა. მაგრამ ამ თანამდებობაზე მეორე ვადა საბედისწერო აღმოჩნდა ინდირასთვის. სიქების წინააღმდეგობა, რომლებიც პენჯაბის შტატის დამოუკიდებლობის მიღწევას ტერორის გამოყენებით ცდილობდნენ, თავის პიკს მიაღწია. განდის მკაცრი ზომების მიღება მოუხდა ამბოხის ჩასახშობად. არც სიქების მკაცრმა პასუხმა დააყოვნა. 1984 წელს სამმა სიქმა ინდირას მიბჯინებდა და ცა-ლეს 20-მდე ტყვია ინდირას გადარჩენის არანაირი შანსი არ ჰქონდა. ის პირველი ქალი გახდა ინდოეთში, რომელმაც პოლიტიკურ ოლიმპს მიაღწია. ნამდვილად დამსახურებულად ინდირა განდი დღემდე რჩება მტკიცე ნებისყოფის, შეუდრეკელი სულის და თავისი ხალხის უსახლოვო სიყვარულის მადლითადა.

კომო შანდო - „მოდე ქანება, მხოლოდ სტილი რჩება იგივე“ - ეს სიტყვები ლეგენდარულ დიზაინერს კოკო შანელს ეკუთვნის. ელევანტური სისადავე-სტილი, რომელიც არასდროს გადადის მოდიდან. ეს კოკო შანელის სტილია, რომელმაც ქალი მოხერხებულ მარვალში გამოაწყო და ქალურისა და მამაკაცურის შესამება ასწავლა. ლეგენდარული კოკო შანელი უკვე წლებია, რაც თაობების იდეალად რჩება. მსოფლიოში ცნობილმა მადმუაზელმა, თავისი 87 წლიანი ცხოვრების განმავლობაში, ქალბატონებს უზარადად ჩაცმის სტილი, შანელის სუნამოს განუმეორებელი არომატი, მოდის სახლი და შეუფასებელი რჩევები უსახსოვრა. საკუთარ თავზე მუდამ ქმნიდა მითებს, რომელთა საიდუმლო ცხოვრების ბოლომდე არ გაუხსნია. მალავდა ასაკს, დაბადების ადგილს, მშობლებს, ოჯახურ წარმომადგენლებს, განათლებას, რომელიც მას არც ჰქონია. შანელს მხოლოდ ერთი რამ სურდა, ეჩვენებინა ყველასათვის, რომ ის ახალი საუკუნის ქალია. კოკოს, რომელსაც ბავშვობაში გაბრიელს ეძახდნენ, არანაირი კავშირის არ ჰქონია არც კულტურასთან, არც ხელოვნებასთან, ყველაფერი, რაც შემდგომ შანელმა შექმნა, მხოლოდ მისი ნიჭის და თვითგანათლების დამ-

სახურება იყო. სურდა ყოფილიყო ერთი, უნიკალური კოკო შანელი და ასეც შევიდა ისტორიაში-როგორც უნიკალური ქალი. მან პირველმა შემოიტანა ქალებისთვის ტანისამოსის თავისუფალი სტილი, რითაც გაანთავისუფლა ქალები მკვეთრად შემოჭრილი ტანისამოსისგან, შექმნა მარვლის მოდელები მანდილოსნებისთვის. 1917 წელს მოკლედ შეიჭრა თმები და ამით საფუძვლიანი დაუდო ქალის მოკლე ვარცხნილობებს. ეს ყველაფერი შანელისათვის ძალიან რთული იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საამისოდ ფული არ ჰყოფნიდა და მეორეც იმიტომ, რომ მისი აღნაგობისათვის მოუხერხებელი იყო. კოკო, სამოსს თავად იკერავდა. მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში, ამ მემამბოხე ქალმა ინოვაციური ტენდენციები შემოიტანა, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც ინარჩუნებს პოპულარობას.

მალალა იუსაფზანი - პუშტუნი პაკისტანელი უფლებადამცველია, რომელიც მთელს მსოფლიოში ქალებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობისთვის გამოდის. მისი უფლებადამცველობითი საქმიანობის გამო, 2012 წლის 9 ოქტომბერს, მინგორაში, სკოლიდან შინისაკენ მიმავალ გზაზე მალალას ტერორისტული მოძრაობა „ტეჰრიკი-თალიბან პაკისტან“-ის შეიარაღებული თაღბი დაესხა თავს და რამდენჯერმე ესროლა, რის შედეგადაც თავში და მხარში დაიჭრა. თალიბები გოგონებისთვის განათლების მიცემას ეწინააღმდეგებოდნენ. მიძიედ დაჭრილ გოგონას სოლიდარობა მთელმა მსოფლიომ გამოუცხადა. ამის შემდეგ, მალალამ მსოფლიოს მასშტაბით გოგონების მხარდაჭერა დაიწყო და აცხადებდა, რომ განათლების მიღება მათი უფლებაა. 2013 წელს მიიღო ანა პოლიტიკოსკაიას და სახაროვის სახელობის პრემია. 2014 წელს გახდა ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ინდოელ კაილამ სატიართისთან ერთად. 2014 წლის 29 ოქტომბერს მიენიჭა კიდევ ერთი პრესტიჟული პრემია, მსოფლიოს ზავეშთა პრემია, რომელსაც მედიის ნობელის ზავეშთა პრემიას უწოდებენ. „ორი შესაძლებლობა მქონდა: ჩუმად ვყოფილიყავი და დავლოდებოდი, როდის მომკლავდნენ, ან მეთქვა სათქმელი და ისე მოვმკვდარიყავი. მე მეორე ვარიანტი ამოვირჩიე - გადავწყვიტე, მელაპარაკა“ - ამბობდა ის. 14 წლის პაკისტანელმა გოგონამ ლიად გაილაშქრა თალიბების უმკაცრესი წესების წინააღმდეგ ქალთა განათლების უფლებების დასაცავად. მან დაწერა ასევე ავტობიოგრაფიული წიგნი - „მე ვარ მალალა“, რომელშიც დიდი ყურადღება ეთმობა პაკისტანის ისტორიას, რიგითი პაკისტანელების ცხოვრებას თალიბანის მმართველობის დროს. დღეს მალალა ოჯახთან ერთად ინგლისში, ბირმინგემში ცხოვრობს და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს. თუმცა ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც პაკისტანში ქალებს უსაფრთხოდ ცხოვრება შეეძლებათ. მალალა იუსაფზანი 2014 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი გახდა.

ეს იმ ქალების მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც მსოფლიოში ქალთა და არამარტო მათი უფლებებისთვის, სტერეოტიპებისა თუ მკვეთრადიციების შეცვლისათვის, პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის უკეთესობის დიდი ნაბიჯები გადადგეს. სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ზემოთ ჩამოთვლილი და მათ მიღმა დარჩენილი ქალების მაგალითები კი გვეუბნება, რომ „სუსტი სქესის“ ძლიერ წარმომადგენლებს იმაზე მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე წარმოვიდგენთ. ძლიერი ქალების კი რატომღაც ეშინიათ, ვერ უგებენ და აკრიტიკებენ. ეს ქალები თავიანთ ნათქვამს მხოლოდ საქმით ამტკიცებდნენ, ფუჭი სიტყვებისა და დაპირებების გარეშე!

მომზადდა
შუშუნა ყანაშვილი

„და უძრავ იყო თბილისის ღამე“...

„თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელი-სუფლებას“ - პროლეტარიატის ბელადმა ეს დეპუტა ბაქოვან მიიღო, ქართული გვარის რენეგატისგან.


1921 წლის 25 თებერვალს თბილისი მე-11 წითელმა არმიამ დაიკავა. საქართველო რუსული საბჭოთა იმპერიის ნაწილად იქცა. დამოუკიდებლობის დაკარგვას მოჰყვა სასტიკი რეპრესიები, პოლიტიკური პარტიების აკრძალვა, ათასობით ადამიანის დახვრევა, ხანგრძლივი პატიმრობა და გადასახლება. ხუთკვირიანი ბრძოლისა და გმირული თავგანწირვის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა, ვერ შეძლეს დამოუკიდებლობის დაცვა. 25 თებერვალს დაწყებულმა საბჭოთა ოკუპაციამ მთელი სამოცდაათი წელი გასტანა. საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ ძალის გამოყენებით საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთის მეთერთმეტე არმიის წინააღმდეგ ომში, 1921 წლის 17 თებერვალს, ქართველ იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის 500-კაციანი რაზმი ჩაერთო (20-25 წლის ახალგაზრდები), რომლებმაც ქვეყნის დასაცავად თავი განირეს.

ქართველ იუნკერთა სასწავლებლის, უფრო ზუსტად კი, ქართული სამხედრო სკოლის შექმნის იდეა, მენშევიკური მთავრობის სამხედრო სამინისტროს ეკუთვნოდა. ამ იდეის გახორციელება იმ დროის ბრწყინვალე მხედართუფროსს, გენერალ გიორგი კვინიტაძეს დაევალა. სახელი „იუნკერები“ სკოლის კურსანტებს რუსული არმიიდან იხრციით გადმოჰყვა.

აზერბაიჯანის იოლი გასაბჭოებით გათამამებული ბოლშევიკები წითელი დროშის აღმართვას საქართველოშიც ესწრაფვოდნენ. წითელ ხიდზე წამოწყებული იერიშის პარალელურად, დაგეგმილი იყო ამბოხის მოწყობა თბილისშიც. გეგმის თანახმად, ბოლშევიკთა რაზმებს პირველ რიგში, სამხედრო სკოლა უნდა განეიარაღებინათ, შემდეგ კი ხელში ჩაეგდოთ მთავრობა. ამ გაბედული გეგმის განხორციელება თავზეხელაღებულ ბოლშევიკს, სამეგრელოს წითელი რაზმების მეთაურს, სამა გეგეჭკორს ჰქონდა დავალებული. თავდასხმა 2 მაისს, ღამით მოხდა. რამდენიმე ათეულმა ბოლშევიკმა თავდაპირველად მოახერხა მძინარე იუნკერების დატყვევება და იარაღის საცავის ხელში ჩაგდება. თუმცა, პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხვიძის გამბედავი ქმედების შედეგად, იუნკერებმა მალევე მოახერხეს გუმბათა განიარაღება და კონტრიერიშზე გადასვლა. საბოლოოდ, სკოლამ თავდასხმა ღირსეულად მოიგერია. შეტაკების შედეგად მოკლეს 3 თავდამსხმელი, სამი დატყვევებული ბოლშევიკი კი, მეორე დღეს სკოლის ეზოში საჯაროდ დახვრიტეს. იუნკერ-თავან დაიღუპა ერთი და დაიჭრა ერთი კურსანტი. რამდენიმე საათის შემდეგ იუნკერთა სიმამაცეზე მთელი თბილისი ლაპარაკობდა. თავდასხმის მოგერიება სამხედრო სკოლას მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ პირადად მიულოცა. თუმცა, ნამდვილი დიდება ახალგაზრდა ოფიცერთა ქართულ სასწავლებელს ავადსახსენებელი 1921 წლის თებერვლის მინურულს ელოდა.

პირველი „წითელი“ იერიშების მოგერიება მამაც იუნკერებს საბრძოლო პოზიციებზე ასვლისთანავე მოუწიათ. იუნკერთა პოზიციების გარღვევა მეთერთმეტე არმიამ ვერც ბაქოელი კურსანტებისა და ვერც პირველი ქართველი კომკავშირელის, ბორის ძნელაძის გარჯის შედეგად მოახერხა. ქართველი მებრძოლები საღ კლდესა-ვით აღიმართნენ კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში. ზედიზედ რამდენიმე იერიშის მოგერიების შემდეგ, იუნკრები კონტრიერიშზე გადავიდნენ და თბი-

ლისის კარიბჭემდე იოლად მოღწეულ მტერს მნიშვნელოვანი სიმაღლეები გამოჰკლიჯეს ხელიდან. ერთ-ერთი კონტრიერიშის დროს, იუნკერთა შეტევა სერიოზულად შეაფერხა მოხერხებულ სიმაღლეზე განლაგებულმა მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის ცეცხლმა. იუნკერებმა გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეს და პირდაპირ იერიშით გაემართნენ წითელარმიელთა ავადმოგრილულ „მაქსიმისაკენ“. მოიერიშეებს მალევე გამოეყო მაშინდელ თბილისში ფეხბურთის საუკეთესო მოთამაშე და შეუდარებელი მორბენალი, 22 წლის შალვა ერისთავი. მან თვალის დახამხამებაში აირბინა აღმართი, ტყვიითა და ხიშტით განგმირა შემოგებებული მტერი და საკუთარი სხეულით დაადუმა „მაქსიმის“ ლულა. შალვა ერისთავის ეს გმირობა იმ დღეებში მთელ საქართველოს მოედო.



მოგვიანებით კი მას მხოლოდ ქართული ემიგრაციის წრეებში იგონებდნენ. საბჭოთა პროპაგანდამ ოცი წლის შემდეგ მთელ მსოფლიოს მოსდო წითელარმიელ მატროსოვის ანალოგიური თავდადება.

26 თებერვალს, თბილისის გასაბჭოების მეორე დღეს, ქალაქის მოსახლეობამ რუსთაველის პროსპექტზე დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, რომლებშიც ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენა, ხოლო უკან, წელი ნაბიჯით მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. „ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაცივებასთან შეერთებული მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელების რიგებში და ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლიდა ამ პროცესიისათვის ხელი შეეშალა“ - იხსენებდა ამ ტრაგიკული მოვლენების შემსწრე გერონტი ქიქოძე. დღევანდელი პარლამენტის შენობის ქვეშ დღემდე განისვენებენ კოჯორ-ტაბახმელაზე დაღუპული ათი იუნკერი და 20 წლის მოწყალების და მარო მაყაშვილი. მათგან ერთ-ერთი, ტყვიამფრქვევისაგან დაფლეთილი შალვა ერისთავის სხეულიცაა. ერთ-ერთი მათგანი ჩოხატაურელი იუნკერი, 22 წლის მაკარ სოლომონის ძე ბურჭულაძე იყო, რომლის მშობლიურ სოფელ სამებაში გადმოსვენება მთელმა სოფელმა 1927 წელს ბოლშევიზმის პირისხლიან ხანაში შეძლო.

მაშინ ლენინურმა რეკომმა სამშობლოსათვის თავდადებული გმირის ობელისკიანი საფლავის განადგურების დადგენილება მიიღო. ეს ამბავი შეიტყო სოფლის მაშინდელმა თავკაცმა სეფე ბურჭულაძემ, რომელმაც ღამით ყველა ფეხზე დააყენა. დილით კი სოფლის სასაფლაოზე მისულ ბოლშევიკებს სამასი კაცი დაახვედრა წინ. მომხდურმა უკან დაიხია და საფლავი კიდევ ერთხელ გადარჩა. მისი განადგურების პირველი მცდელობა 1923 წელს იყო, როცა ბოლშევიკებმა საფლავის ობელისკი დაცხრილეს. მემორიალურ დაფას ტყვიის კვალი ახლაც ამჩნევია. როგორც ამბობენ, ტყვია სისასტიკით გამორჩეულმა წითელმა მეთაურმა ობოლადემ გაისროლა. მასვე

მიუღია „მტრების“ ადგილზე დახვრეტის მანდატი, რასაც დიდი გულმოდგინებითაც ასრულებდა, თურმე. მოგვიანებით გურიამი ჩადენილი მკვლელობებისა და ხალხის აწიოების გამო ობოლადე ოზურგეთში მოკლეს. ეროვნული გმირის საფლავის დაცვა ძალიან ძვირად დაუჯდა სოფელ სამების მკვიდრ მოსახლეობას, რომელიც ყოველ ჯერზე საშინელი რეპრესიებით ისჯებოდა. კონტრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით ბევრი დახვრიტეს, მრავალიც გადაასახლეს. ზოგმა კი გაქცევით უშველა თავს და სოფელი განახევრდა კიდევ, მაგრამ ხალხის თავგანწირვას ღვთის სასწაულებრივი მაღლი მოჰყვა და საფლავი გადარჩა...

25 თებერვლის ერთ-ერთი გმირი იყო მაკარ ბურჭულაძე. მაკარ ბურჭულაძე 1899 წელს დაიბადა. 1918 წელს, თბი-

/ I - 1921 / 24 / II. აქ განისვენებს სტუდენტი მაკარ სოლომონის ძე ბურჭულაძე, რომელიც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე კოჯორი-ტაბახმელას მიმართულ მტერს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. დაუვინყარი იქნება მისი სახელი“.

მაშინ სოფლის სასაფლაოზე წმინდა სამების სახელობის ძველი ტაძარი იდგა. მაკარი მის გვერდით დაკრძალეს და ობელისკიც აღმართეს. ქვის სამმეტრიანი სვეტი ქვისავე ჯვრით გვირგვინდებოდა და ერთ პატარა საცავს ითავსებდა, რომელშიც ნამებული იუნკერის პირადი ნივთები ინახებოდა. მემორიალური დაფის ზემოთ, საგარაუდოდ სახატე უნდა ყოფილიყო. ბოლშევიკების თავდასხმების შედეგად ჯვარი დამტვრეულია, სახატე ცარიელია, დაფა ნატყვიანია, ხოლო საცავი გაძარცვული.

ჩრდილოეთში მოკალათებულმა ჯვართებმა და მათმა ადგილობრივმა ემისრებმა ოცნება აისრულეს და სამხრეთის ურჩ მებრძოლს 70-წლოვანი მონობის უღელი კიდევ ერთხელ დაადგეს. 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. ქართველი იუნკერების, ჯარისკაცების გვამებზე ბოლშევიკებმა გადაიარეს და თბილისის თავზე წითელი დროშა ააფრიალეს. თუმცა, თავისუფლებისმოყვარე ერს წინააღმდეგობა არ შეუწყვეტია. კომუნისტური ტირანიის წინააღმდეგ, 1921-23 წლებში, წინააღმდეგობის თავგანწირული მოძრაობა დაიწყო, რასაც სასტიკი საბჭოთა რეპრესიები მოჰყვა. 1922 წლის სექტემბერში, საბჭოთა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო ერთ-ერთი ასეთი ამბოხი. 1923 წლის მარტში დააპატიმრეს საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ცენტრის წევრები და მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მათ შორის იყვნენ, გენერლები კოტე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, იასონ კერესელიძე, ნიკოლოზ ზანდუკელი და სხვები. საბჭოთა სადამსჯელი რაზმებმა არც უბრალო ხალხი დაინდეს და მთელი საქართველოს ტერიტორიაზე სისხლის მდინარეები დააყანეს... ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატრიოტების წინააღმდეგ ბრძოლა კი მთელი საბჭოთა ეპოქის განმავლობაში მიმდინარეობდა...

25 თებერვალი, 1921წ.

თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუშდა სიონი და დუშდა ხალხი, მიღღვიმრად იყო ქალაქი ჩემი, საშინელებს კვლავ სჭედდა გრემლი - ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი! მშობელი დედა, ისევ გაევიდეს, ისევ წამების ჯვარი აგვიდეს, არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგიხდეს! თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუშდა სიონი და დუშდა ხალხი, დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა, მხოლოდდა თოვლი ცვიოდა ნელა, ეფინებოდა გმირების გვამებს - განკმირულ მკერდებს, დაღუწულ მკლავებს, და უძრავ იყო თებერვლის ღამე. თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუშდა სიონი და დუშდა ხალხი, იმ გზით, სად წინად ელავდნენ სმლები, სად სამას გმირთა დაიფუნა მკლავები, სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი, მძიმედ დაეჭა ჩვენი ალამი, სად გმირთა სისხლით ნაზოხიერი, თოვს დაეფარა კრწანისის ველი, - წითელი დროშით, მოღვრილ ევლით, თურთ ცხენზე მჯდომი, საბიჯით ხელით შემოდოდა სიკვდილი ცვლით! თოვდა, და თბილისს ებურა თალხი, დუშდა სიონი და დუშდა ხალხი. კოლაუ ნადირაძე

მომაზადა ხათუნა ბენაშვილი

ქ.დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკაში საბჭოთა ოკუპაციიდან 99-ე წლისთავის სემინარი-გახსენება გაიმართა, რომელიც მიეძღვნა 25 თებერვალთან დაკავშირებულ მოვლენებს. შეხვედრა, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა თინათინ ელაშვილმა გახსნა, რომელმაც თავის გამოსვლაში მიმოიხილა 1921 წელს საქართველოში განვითარებული ტრაგიკული რეალობა.

„1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენა მოხდა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად მიიღო და დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც 1919 წლის 21 მარტს ოფიციალურად დადასტურდა დამფუძნებელი კრების მიერ. ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა.“



აღნიშნული პერიოდისათვის საქართველო მაღალი დემოკრატიული ღირებულებების მარჯვენა სუბიექტს წარმოადგენდა და რეგიონში განსაკუთრებული ადგილის მატარებელი იყო. რუსეთის ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა ქართველი ბოლშევიკები. ანტიქართული საქმიანობაში აქტიურ როლს ასრულებდნენ: ფილიპე მახარაძე, სერგეი კიროვი, სტეფანე შაუ-მიანი, სერგო ორჯონიკიძე და სხვები. 1920 წელს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანსა და სომხეთში.“ - თინათინ

ელაშვილმა მოკლედ მიმოიხილა, თუ როგორ შემოიჭრა 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმია საქართველოს დედაქალაქში, რასაც წინ უძღვოდა არმიისა და იუნკერების წინააღმდეგობა კოჯორსა და ტაბახმელაში. დიდი მსხვერპლის მიუხედავად, საბჭოთა არმიამ მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია.

„დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ საქართველოში რუსეთის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იჩინა თავი. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. საქართველოს რუსეთთან შეერთების პირობები არანორმალური იყო. თავის დროზე, 1801 წელს, და შემდეგაც, იგი არც თუ იხე უმტკივნეულოდ განხორციელდა. მიუხედავად რუსიფიკატორული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ენერჯისა და გარეგნული წარმატებისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის სასებით შეუძლებელი იყო თავისი ეროვნული ცხოვრების მოგვარება, რუსეთთან სრული შერწყმა, შეზრდა, მაინც არ მოხდარა“ -

ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა მატარაშვილმა. მანვე გააკეთა ზურბ აპალიშვილის (ცნობილი იურისტი და ისტორიკოსის) ნიგნის - „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ - პრეზენტაცია.

„იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი, უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. წინამდებარე ნიგნში, ავტორი ეხება მაშინდელი ეპოქის პრობლემებს, რომელიც მაშინდელი საქართველოს წინაშე იდგა. ჩამოვთვლი რამდენიმე მათგანს: საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების პროექტი, მუდროსის დროებითი ზავი, სამკუთხედში ბერლინი, მოსკოვი, კონსტანტინეპოლი, ზოგი რამ ბრესტ-ლისტოვსკის ზავის შესახებ და სხვა. ნიგნი შედგება 189 გვერდისაგან, გამოსცა გამომცემლობა „ნიაშორმა“ 1990 წელს.“

ავტორი წერს: „როდესაც საქართველო საბჭოთა რუსეთთან შეტაკებამდე მიიყვანეს, რუსეთს, არც თუ დიდი ძალებისათვის, თითქმის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რათა შეტევაზე წამოსულ წითელ არმიას შეეარაღებული ხალხი კი არ დახვედროდა, არამედ პარტიული ბელადების ჯგუფი, სახელმწიფო ხელისუფლების ექსპლუატაციის მონაწილე ფართო თანასაზოგადოება და მათთან ერთად ერთგულთა მცირე რაზმი. ხოდა მოხდა კიდევ ის, რაც გარდაუვალი და საბედისწერო იყო. ქართული დემოკრატია დაემხო, სწორედ იმ მომენტში, როდესაც იგი თვითკმაყოფილი და თავდაჯერებული შემოიჭრა თავის პარტიული გამორჩეულობის დიდად მოწონებულ ლავანგარდზე. კაცობრიობის ისტორია ჟამიდან ჟამზე გიჟური როკვის ფორმებით წარმოგვიდგება. ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისაკენ, შემოქმედებით, დამოუკიდებელი არსებობისაკენ ეროვნული კოლექტივების იდუმალი ერთობის ნიაშია და იგი ერთ-ერთი ის ძაფია, რომლის განწყევლა მოჩვენებითა ხოლმე. ამრიგად რუსეთის მიერ ოკუპირებულმა საქართველომ განვლო მთელი ეპოქა, რომელზეც არა ერთხელ დანერვილა და კვლავ დაინერვივა, მაგრამ ყველა ქართველის სურვილი და გულის ნადები ეს არის: - მე ვისურვებდი, რომ საქართველოს დაბრუნებოდა დიდი ძლიერება, არ დასჭირვებოდა უცხო ქვეყნების დახმარება და თავისუფალი დამოუკიდებელი იყოს მშვიდობისა და ომიანობის ჟამს. ეს ყველას სურვილია. ქართველის ფიქრი მუდამ სამშობლოს სადარჯოზეა!“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუშბარ პაპიაშვილიც ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს ბიბლიოთეკაში საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას. სემინარის მონაწილეებმა 1921 წლის თებერვლის სისხლიანი ქრონიკები



გახსენეს და საქართველოს თავისუფლებისთვის შეწირულ გმირებს პატივი მიაგეს.

„როცა დღევანდელ თობას ვუყურებ, იმედით ვივსებ, რადგან დარწმუნებული ვარ, ეს ახალგაზრდები არასდროს დაუშვებენ 25 თებერვლის განმეორებას, საქართველო აღარასდროს დაკარგავს თავისუფლებას, ხოლო 1921 წელს გმირულად დაღუპულ იუნკერებს ყოველთვის სიამაყით მოვიგონებთ“ - განაცხადა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანაშიაშვილმა.

„საბჭოთა საქართველოში 25 თებერვალს ზეიმით აღნიშნავდნენ და ახალგაზრდებს ასწავლიდნენ, რომ საქართველოს გასაბჭოების მესვეურები გმირები იყვნენ. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ისტორიამ თვითონ დააღაგა გმირები და ანტიგმირები. დღეს დიდი სიყვარულით ვიხსენებთ 1921 წლის თებერვალში საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპულს და ვგლოვობთ 25 თებერვალს, რომელმაც დამოუკიდებლობა წაგვართვა“ - აღნიშნა ღონისძიებაზე ნუგზარ პაპიაშვილმა.

ღონისძიების მსვლელობისას ბავშვებმა ქართული ჰიმნების ლექსები წაიკითხეს, რომლებიც იმ დიდი ტრაგიკული ბამო დაინარა, რასაც საპარტიულო ოკუპაცია ჰქმნია.

სამუნა ბანაშვილი

7 მითი რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომზე

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ ქართულ საზოგადოებაში უამრავი მითია გავრცელებული. ამ მითებს ჩვენ ხშირად ვისმენთ პირად საუბრებსა თუ სატელევიზიო გადაცემებში, ვკითხულობთ სოციალურ ქსელებში და სხვა. მითების გავრცელებას ხელს მრავალი ფაქტორი უწყობდა ათწლეულების განმავლობაში, საბჭოთა იდეოლოგია თუ მემორიული ლიტერატურა, რომელიც სუბიექტურობისა და უზუსტობებისგან არ იყო დაზვეული, აგრეთვე, დამახინჯებული და ინტერპრეტირებული ზეპირი გადმოცემები. აქ ვისაუბრებთ იმ შვიდი მითის შესახებ რომელიც გავრცელებულია საზოგადოებაში და მათ უმეტეს ნაწილს ისტორიოგრაფიამ კარგა ხნის წინ გასცა პასუხი.

მითი 1. თბილისს მხოლოდ იუნკრები იცავდნენ - იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმია თბილისს მოადგა, იუნკერთა სამხედრო სკოლაში სიით მხოლოდ 183 იუნკერი ირიცხებოდა. მათგან 166 თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორში იბრძოდა, ხოლო ნაწილი ჰოსპიტალში იწვა, ნაწილი კი გამწვევ პუნქტებზე განაწილდა. მთლიანობაში კი თბილისს რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის 10 000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი იცავდა და მათ შორის იუნკერთა სამხედრო სკოლის კურსანტი მხოლოდ 166 იყო.

მითი 2. იუნკერთა უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაიღუპა - როგორც ზემოთ ვნახეთ, იუნკერთა სამხედრო სკოლაში სიით 183 კურსანტი ირიცხებოდა ომის დროს. ჩვენ კი ხშირად ვისმენთ საინფორმაციო გადაცემებიდან, რომ იუნკერთა უმეტესობა ბრძოლის ველზე დაეცა. სინამდვილეში კი ბრძოლის ველზე დაიღუპა მხოლოდ 9 იუნკერი: ალექსანდრე ახვლედიანი, პლატონ დოლიძე, შალვა ერისთავი, პავლე იაკობაშვილი, ლევან კანდელაკი, ოთარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ლოლუა, იოსებ და ილია ჯანდიერები. ომის დროს დაიჭრა 43 იუნკერი. ხშირად აღნიშნავენ, რომ ბათუმში თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში დაიღუპნენ იუნკრები, თუმცა დაზუსტებით

არის ცნობილი, რომ იუნკრებს ბათუმის ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღიათ. აგრეთვე, ზოგჯერ 1921 წლის ომში დაღუპულ ყველა ჯარისკაცს, ოფიცერს, მოხალისეს მოიხსენიებენ იუნკრად, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. არსებობს როგორც იუნკერთა სრულიად სახელობითი სია, ასევე დაღუპულ და დაჭრილ იუნკერთა სახელობითი სიაც.

მითი 3. ნოე ყორღანამ თბილისი უბრძოლველად დატოვა 24 თებერვლის საღამოს და გაიქცა - სინამდვილეში თბილისის დატოვების გადაწყვეტილება 24 თებერვლის საღამოს მიიღო მთავარსარდალმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, რადგანაც მიაჩნდა, რომ დედაქალაქი ალყაში ექცეოდა, რაც უეჭველ მარცხს გამოიწვევდა. ამიტომ კვინიტაძემ ბრძოლის გაგრძელების ურთაღმართ საშუალებად თბილისიდან უკანდახვევა მიიჩნია. პირველი რესპუბლიკის კანონმდებლობით, მთავრობის თავმჯდომარეს, ამ შემთხვევაში ნოე ყორღანისა, არ ქონდა უფლება ჩარეულიყო მთავარსარდალის ოპერატიულ გადაწყვეტილებებში.

მითი 4. თბილისის დაცემის შემდეგ ქართულ შეიარაღებულ ძალებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ - სინამდვილეში კი ქართული არმია თბილისის დაცემიდან კიდევ სამი კვირის მანძილზე იბრძოდა და წინააღმდეგობას უწევდა მტერს. დიდი ბრძოლა გაიმართა 4-6 მარტს ხაშურის რაიონსა და ლიხის ქედზე, 3 მარტს - ახალი ათონის პოზიციებზე, 9 მარტს დაეცა ქუთაისი. 16 მარტს კი, როდესაც ფაქტობრივად ყველაფერი გადანყვებილი იყო, ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაური ვალერი გოგუაძე ნიკოპოლიდან ბათუმში მთავრობის თავმჯდომარე ნოე ყორღანისა შემდეგი შინაარსის დეპეშას უგზავნიდა: „ჯავშნოსანი მატარებლებით მოგესალმებით. რაზმი ფიცსა სდებს თქვენს წინაშე, რომ იბრძოლებს სამშობლოს დასაცავად უკანასკნელ სისხლის წვეთამდის“.

მითი 5. ქართულ არმიას რუსული კავკასიის არმიიდან მემკვიდრეობით ია-

რალის უზარმაზარი მარაგი დარჩა, მაგრამ მთავრობამ არ გახსნა საწყობები და ვერ გამოიყენა სათანადოდ არსებული იარაღი, რაც შემდეგ რუსებს დარჩათ ალაფად - საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1918 წლისათვის, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სინამდვილეში იმაზე ნაკლები იარაღი და საბრძოლო მასალები დაგვრჩა რუსული არმიისაგან ვიდრე 1921 წლის ომისათვის იყო საჭირო. ამ დარჩენილი მასალების დიდი ნაწილი კი 1918 წლიდან 1921 წლამდე ომებში დაიხარჯა. ამიტომ ქართული დელეგაციები ევროპაში, საქართველოს იურიდიულად აღიარების შემდეგ, დიდ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების დროს ნომერ პირველ საკითხად იარაღის ჩუქებას ან შესყიდვას სვამდნენ. მოხერხდა იარაღის რამოდენიმე მცირე პარტიის შემოტანა, რაც საკმარისზე ბევრად ნაკლები იყო. განსაკუთრებული დეფიციტი იგრძნობოდა შაშხანების, არტილერიის, ვაზნებისა და ჭურვების მხრივ.

მითი 6. საწყობებში დიდი რაოდენობით იყო ტანსაცმელი სამხედროებისათვის, მათ კი ომის დროს შესაფერისად არ ეცვათ - ამ თემაზე გენერალი გიორგი მახინაშვილი თავის მემორიუმში წერდა: „უკვე 1921 წლის მაისში, ჩვენს საწყობებში დარჩენილ ტანსაცმელით მე შევძელი შემოსვა თავიდან ფეხებამდე 17 000 კაცისაგან შემდგარი ქართული წითელი არმიისა“. საპირისპირო სურათს გვიჩვენებს საარქივო დოკუმენტები, კერძოდ, - „ჩეკას“ საიდუმლო მოხსენებები 1921 წლის მარტიდან ამავე წლის აგვისტოს ბოლომდე. საქართველოს ჩეკა ამ დოკუმენტებს სხვადასხვა სახელმწიფო და სამხედრო უწყებას უგზავნიდა. მოხსენებებში მნიშვნელოვან ინფორმაციებთან ერთად აღწერილია ქვეყანაში არსებული სამხედრო მდგომარეობა, ასევე, რუსეთისა და ახლად შექმნილ საქართველოს წითელი არმიამ არსებული პირობები. ირკვევა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში (1921 წლის მარტიდან - აგვისტოს ბოლომდე) მე-11 არმია ცა და საქართველოს წითელი არმიაც ტანსაცმლისა და

ავტორი: ლიმიტირი სილაძეძე

კორონავირუსული (COVID-19) ინფექციის ძირითადი პროფილაქტიკური ღონისძიებები:

ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით.

ხელების დაბანა საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით, ანაღურებს ხელების ზედაპირზე არსებულ ვირუსებს.

სასუნთქი სისტემის ჰიგიენა ხელებისა და ცემინებისას აივარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირ-სახოცი ან მოხრილი იდაყვი. ცხვირ-სახოცი გამოყენებისთანავე დახურულ ურნაში გადაადგედთ და დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით.

ხელებისა და ცემინების დროს პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირ-სახოცის ან მოხრილი იდაყვის აფარებით თქვენ ხელს უშლით ვირუსებისა და მიკრობების გავრცელებას.

ხელებისა და ცემინებისას ხელის აფარების შემთხვევაში, თქვენი ხელის ზედაპირებზე არსებულ მიკრობებსა და ვირუსებს ავრცელებთ ირგვლივ მყოფ საგნებზე და ადამიანებზე, ამ ქმედებით კი ხელს უწყობთ ინფექციის გავრცელებას.

შინარჩუნეთ უსაფრთხო ღონისძიებები

შინარჩუნეთ არანაკლებ 1 მეტრი მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებ-

ბენ ან/და მაღალი სიციხე აქვთ. რატომ?

რესპირაციული ინფექციით ინფიცირებული ადამიანი, მათ შორის ახალი ჩმ-VID-19 ინფექციით, ხელებისა და ცემინების დროს ავრცელებს ვირუსის შემცველ წვეთებს, თუ თქვენ ამ დროს იმყოფებით ძალიან ახლო მანძილზე, შესაძლებელია ჩაისუნთქოთ ვირუსი.

არ შეეხეთ დაბინძურებული ხელბით თვალებს, ცხვირსა და პირს, შესაძლებელია ვირუსი საგნების ზედაპირიდან საკუთარ თავზე გადაიტანოთ.

თუ გაქვთ სიციხე, ხელო და სუნთქვის გაძნელება დროულად მიმართეთ ექიმს. აუცილებლად მიმართეთ სამედიცინო დახმებულებას თუ იმოგზაურებთ იმ ქვეყანაში სადაც გავრცელებულია ახალი კორონავირუსი COVID-19, ან კონტაქტში იმყოფებით იმ პირთან, რომელმაც უახლოს ხანში იმოგზაურა ჩინეთში და რესპირაციული ინფექციებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები ჰქონდა.

რატომ? როდესაც თქვენ გაქვთ ცხელება, ხელო და სუნთქვის გაძნელება, აუცილებელია დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმს, რადგან ეს სიმპტომები შესაძლებელია

გამონეული იყოს რესპირაციული ინფექციით ან სხვა სერიოზული დაავადებით. ცხელება შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი სხვადასხვა მიზეზით, თქვენი პირადი მოგზაურობის ისტორიიდან გამომდინარე შესაძლებელია ცხელების მიზეზი ახალი კორონავირუსი იყოს.

თუ თქვენ გაქვთ მსუბუქი რესპირაციული სიმპტომები და არ გაქვთ მოგზაურობის ისტორია ჩინეთში, ზედმინევით დაიცავით ხელის ეტიკეტი და ხელის ჰიგიენა, დარჩით სახლში სრულ გამოჯანმრთელებამდე.

დაიცავით ზოგადი ჰიგიენური წესები თუ თქვენ მოგინათ ვიზიტი ცხოველების და/ან ზღვის პროდუქტების ბაზარში.

ცხოველებთან და ცხოველური ნარმოშობის პროდუქტებთან შეხების შემდეგ რეგულარულად დაიბანეთ ხელები საპნითა და გამდინარე წყლით. არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირს ან პირს;

თავიდან აიცილეთ ავადმყოფ ცხოველებთან ან ბავშვებთან ცხოველური

ნარმოშობის პროდუქტებთან კონტაქტი.

მოერიდეთ ბაზარში ცხოველებთან კონტაქტს (მაგ, მანანალა კატები და ძაღლები, მღრღნელები, ფრინველები, ღამურები).

მოერიდეთ მაღაზიებსა და ბაზრებში



პოტენციურად დაბინძურებული ცხოველების ნარჩენებთან კონტაქტს. არ გამოიყენოთ უმი და თერმულად ცუდად დამუშავებული ცხოველური პროდუქტები საქმელად.

განსაკუთრებულად ფრთხილად მოიქეით მაშინ, როდესაც გინევთ უმ ხორციან ან რძესთან აკონტაქტი, რადგან თავიდან აიცილოთ უმი პროდუქტებიდან ჯვარედინი დაბინძურება.

ჭოპორტში 45 წლამდე მამაკაცმა დედა და მოკლა

ჭოპორტში 45 წლამდე მამაკაცმა დედა და, სავარაუდოდ, საკუთარ საცხოვრებელ სახლში სანადირო თოფით მოკლა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრებისა და ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით დაიწყო.

შსს-ს ცნობით, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი დადგენილია და მის დასაკავებლად საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.



დედა იზოლდო ქმანაშვილი, მეუღლე მანანა ქურციკაშვილი, შვილები: სალომე, ბაჩანა, პაპუნა პოპიაშვილები, და - მარინა, ცოლისდა ნანა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ზურაბ პოპიაშვილი** დაიკრძალა 23 თებერვალს, ქ.თბილისში.

ნათელა ბილიაშვილი, მიმოზა გოგილაშვილი და ლენა ქადაგიძე თანაგრძნობას უცხადებენ თანაკლასელს იზოლდო ქმანაშვილ-პოპიაშვილს შვილის **ზურაბ პოპიაშვილის** გარდაცვალების გამო.

ქ.დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის 1976-77 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელების **ზურაბ პოპიაშვილის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

დავით და მანანა გოგიშვილები ოჯახებით იუწყებიან დედაშვილის **ზურაბ პოპიაშვილის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

თურქეთი: რუსულ მხარეს თურქული ნაწილების დისლოკაციის შესახებ წინასწარ შევატყობინეთ

იღლიზში, თურქ სამხედროებმა დარტყმები განმორცილდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსულ მხარეს წინასწარ შევატყობინეთ თურქული ნაწილების დისლოკაციის ადგილების შესახებ.

ამის შესახებ თურქეთის თავდაცვის მინისტრმა, ხულუს აპარმა განაცხადა. ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს.

თურქეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საჰაერო დარტყმის საპასუხოდ თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა საარტილერიო და საჰაერო დარტყმები განახორციელეს ასადის რეჟიმის 200-მდე ობიექტზე.

თურქეთის არმიამ 5 პერტფრანეი, 23 ტანკი, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და 309 სამხედრო ბანანაღწურა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ 28 თებერვალს განაცხადა, რომ სირიაში თურქი სამხედროები „ბოვიკებს“ შორის იმყოფებოდნენ. სირიაში, იღლიზის პროვინციაში, საჰაერო დარტყმის შედეგად 33 თურქი სამხედრო დაიღუპა. რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა თურქ კოლეგა რეჯეფ თაიფ ერდოღანთან სატელეფონო საუბარში სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იღლიზის პროვინციაში ექსტრემისტების აგრესიული ქმედებების გამო. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

„სტატლეფონო საუბრის მთავარი თემა იღლიზში დემსკალაციის ზონაში შექმნილი ვითარება იყო. ვლადიმერ პუტინმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა ექსტრემისტური დაჯგუფებების აგრესიული ქმედებების გამო“, - ნათქვამია კრემლის განცხადებაში.

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, ვლადიმერ პუტინმა ასევე ხაზი გაუსვა სირიის არაბული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საჭიროებას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია გააქტიურდეს კონსულტაციები იღლიზის საკითხზე, კერძოდ სამხედრო უწყებების მიმართულებით.

გარდა ამისა, პუტინმა და ერდოღანმა ხაზი გაუსვეს ლიბის საკითხზე ბერლინში გამართული საერთაშორისო კონფერენციის გადწყვეტილებების იმპლემენტაციას.

რუსეთი და თურქეთი სირიის სამოქალაქო კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობენ. მოსკოვი მხარს უჭერს პრეზიდენტ ბაშარ ასადს, თურქეთი კი - მეამბოხეებს. კონფლიქტის ბოლო



ეტაპმა იღლიზის პროვინციაში გადაინაცვლა, სადაც ასადის ჯარს რუსული ავიაცია ეხმარება. ბაშარ-ს მონაცემებით, საბრძოლო მოქმედებების გამო, პირველი დეკემბრიდან იღლიზში თავისი სახლის დატოვება 800 ათასზე მეტ ადამიანს მოუწია, მათი უმეტესობა ძაღვი და ბავშვები არიან.

„იღლიზის პროვინციაში თურქ ჯარისკაცებზე თავდასხმის შესახებ გავრცელებული ინფორმაციით აშშ შეშფოთებას გამოთქვამს და მხარდაჭერას უცხადებს თურქეთს“, - ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაშიც.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს ნატოელ მოკავშირე თურქეთს. მოუწოდებთ ასადის რეჟიმს, რუსეთისა და ირანის მიერ მხარდაჭერილ ძალებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ეს საშიშარი თავდასხმები“, - წერია განცხადებაში.


შეშფოთებას გამოთქვამს ნატო-ში აშშ-ის ელჩიც. ქი ბილი ჰატირისონმა განაცხადა, რომ ასადი თავს ესხმის იღლიზს და იქაურ მოსახლეობას.

განიხილავს თუ არა აშშ თურქეთის სამხედრო ან სადაზვერვო მხარდაჭერას, ელჩის თქმით, ვითარება ძალიან რთულია და ამ საკითხზე ვამინგტონში აუცილებლად იმსჯელებენ.

სტატუსებს მიღმა გაზაფხულია

დიდი იყო სოფელი. ერთიანი, ძლიერი, მნიშვნელოვანი, საამაყო, მუდამ შრომის ფერულში ჩაბმული, მოტივირებული, ნაცნობი და, ალბათ, მაინც ბოლომდე უცხო, შეუცნობელი. დღეს კი სოფელი მარტოა, აღარც დიდია და აღარც ძლიერი. ეკ, ადამიანები...

სკოლაც იყო დიდი. დიდი და გულიანი, ხმაურიანი, იმდენად დიდი, რომ ხშირად სივრცე ვერ იტევდა ამ ხმაურს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, იდეებს, აზრებს, სიხარულსა და წუხილსაც კი. დღეს, შიდა თუ გარე მიგრაციის მიზნით, უამრავი ადამიანი ტოვებს სოფელს. სოფლის დატოვება კი პირდაპირად დაკავშირებული სკოლის, ბაღის კონტი-



გენტის კლება-ზრდადობასთან. ამის დაწინაურება რიცხვებიც კი არ სჭირდება. თუკი ერთხელ, უბრალოდ, გადწყვეტთ, რომ სოფელს თვალი შეავლოთ, დასკვნები თავად გიპოვებთ. გეტყვი, რომ ეს დასკვნები არც ისე სახარბიელო და სასიხარულო იქნება.

არადა... გვექონდა ბავშვობა, როდესაც სახლში შესვლა ჩვენთვის დიდ უკმაყოფილებასთან იყო დაკავშირებული. იყო უამრავი თამაში, უამრავი გასართობი, სიხარული, ბედნიერება, მაგრამ არ იყო ინტერნეტი. წესიერი ტელევიზორებიც კი არ იყო. იყო ლაზხტი, იყო სტადიონი, იყო ძალიან ბევრი ბავშვი და უბრალოდ წრეში ბურთი. ჩვენი ერთადერთი საზრუნავი ბურთის აცილება და ქულების მოგროვება იყო. მამაცი და ლალი უნდა ყოფილიყავი. მეტი არაფერი გვეალებოდა. ჩვენთვის ბავშვობა ერთმანეთისთვის ტკბილეულის გაყოფითა და შემდეგ ამით

ტკბობაში გადიოდა. დღეს, კარგი ინტერნეტი, მაგრამ დაბალია მისი თვითგანვითარებისთვის გამოყენების დონე. დღეს კარგი ტელევიზორებია, მაგრამ უკონტროლოა გართობა. დღეს განათლების მიღების შესაძლებლობები გაზრდილია, მაგრამ ნიგნია დავენიჭებულ. დღეს, უბრალოდ ბავშვები აღარ არიან, დემოგრაფიული პრობლემა კი სამყოფზე მეტი გვაქვს.

სწორედ ამ პრობლემების ფონზე, როდესაც ვუყურებთ მრავალშვილიან ოჯახებს, თითქოს იმედი გვიჩნდება და შინაგანი ხმა გვეუბნება, რომ დანებება არ ღირს. თუმცა, ამ მრავალშვილიანი ოჯახების, მათი სტატუსის მიღმა ძალიან ბევრი საკითხია, რაც არ ვიცით და რაც ზოგჯერ კრიტიკას ანდაც შექმნის ინვესტ ჩვენში. განსაკუთრებით სასიხარულოა, როდესაც მრავალშვილიან ოჯახს/დედას საზოგადოებას აცნობ. დედას, რომელიც როგორც თვითონ ამბობს, არც ისეთი მარტივი საზრუნავი აქვს ოჯახის, 4 შვილისა და საყოფაცხოვრებო პრობლემების გათვალისწინებით. ეს ადამიანი სოფ.არბოშიკში მცხოვრები ნინო ბაღაშვილი გახლავთ, პროფესიით ფილოლოგი. ნინომ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. ამბობს, რომ პროფესიით არსად უმუშავია, მაგრამ მისი საუბრიდან გამომდინარე, ნამდვილად შეამჩნევთ რომ განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. რადგან ქალთა დღესასწაულებს დაემთხვა ჩვენი ინტერვიუ, კითხვაზე, **თუ რასთან ასოცირდება მისთვის ეს დღესასწაულები, გიორგის, გიგას, თამარის და მარიამის დედა გვპასუხობს:** „ჩემთვის ძალიან დიდსა და მნიშვნელოვანს აქვს ეს დღესასწაულები დაკავშირებულია ყველაზე საყვარელი და ლაგაზი ნაინა დროის - გაზაფხულის შემოგზავნასთან. სიმბოლურია ისიც, რომ როგორც ძალიან დიდ და ის ასოცირდება ახალი სიცოცხლის დაწყებასთან, თვითონ გაზაფხულიც ხომ ხელახლა გამოვლინებას და ახლის დასაწყისს მოხსენავებს“. როდესაც ხარ ქალი, და ამავდროულად მრავალშვილიანი დედა, მნიშვნელოვანია თუ როგორ ხედავ ამ როლების მნიშვნელობას დღევანდელ საზოგადოებაში და რამდენად მნიშვნელოვანია ამ სტატუსის ტარება. ნინო გვეუბნება, რომ **„ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია. მივესალმები ქალთა უფლებრივი**

მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს სახელმწიფოს მხრიდან. მაგრამ, ქალი, როგორც „დედა“ მგონია, რომ უფრო ნაკლებდაფასებულია საზოგადოების მხრიდან, ვიდრე სამსახურეობრივი კარიერის მქონე ქალი. დედის სტატუსის ტარება ჩემთვის უდიდესი ბედნიერების გარდა, არის უზარმაზარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაც. ოთხი შვილის დედობა და მრავალშვილიანი დედის სტატუსის ტარება კი უკვე სულ სხვა პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. საზოგადოებას და საკუთარ თავს ყოველდღიურ რეჟიმში უნდა უმტკიცო, რომ რადგან ეს ნაბიჯი გადადგი და ოთხი შვილის გაზრდა ითავე, ღირსეულადაც ართმევ თავს ამ ყველაფერს. ცდილობ, ფრანზა „რას აჩენდა, თუ უჭირდა?“, რომელიც არც თუ იშვიათად გაიჟღერებს ხოლმე საზოგადოებაში, შენ არ გეხებოდეს.“

საუბარი, რა თქმა უნდა, მათ საზრუნავს და სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ შეღავათებასაც შეეხო. იმას, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო მრავალშვილიან ოჯახებზე. როგორც ნინო გვეუბნება სახელმწიფოს მხრიდან მისი ოჯახი შეღავათებით სარგებლობს. **სოციალური დახმარება 360, ელექტროენერჯის სუბსიდია კი ყოველთვიურად 22 ლარს შეადგენს** (შედარებისთვის: ევროპაში სახელმწიფოს მხრიდან მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების ჩამონათვალი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ასეთია: გერმანია 225 ევრო, დანია - 605 ევრო, ესპანეთი - 735 ევრო და ა.შ.). **„ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, ჩემი და, ალბათ, სხვა მრავალშვილიანი ოჯახების მთავარი საზრუნავი, შვილების გამოკვება და ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაა. მნიშვნელოვანია ამის საშუალებას იძლევა. სახელმწიფო დახმარება მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ამ მინიმალური ბიუჯეტის სტაბილურობას და ეს სტაბილურობის განცდა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის.“**

ადამიანებისთვის სურვილებს და მათ განმეორებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხანდახან, თითქოს მათი ხმა მალა ნარმოთქმა, ერთგვარი სტიმული და მამოძრავებელი ძალა ხდება მისი ასრულების გზაზე. ნინოსაც ვთხოვეთ თავისი სურვილი გამოეთქვა, თუ რა ტიპის დახმარება უფრო ნაადგებოდა დღესდღეობით მრავალშვილიან ოჯახებს. **„ვისურვებდი, რომ სახელმწიფოს მხრიდან განათლების**

კუთხით გაიზარდოს დაფინანსება. მინდა განათლების მიღების ხელმისაწვდომობა გაიზარდოს იმ მრავალშვილიანი ოჯახის შვილებისთვის, რომელთაც ამის სურვილი და შესაძლებლობა, ადამიანური რესურსი გააჩნია.“

არ არის რთული გყავდეთ 4 შვილი და სახლის საქმეებსაც უძღვებოდეთ? - ვეკითხები. **„ძალიან რთულია. რთულია საოჯახო საქმეების კეთების ფონზე სრულად აკონტროლო შვილები და რაღაც მაინც არ გამოგეპაროს. სულ გგონია, რომ ის კომუნიკაცია რასაც შენ შვილებთან ამყარებ, არ არის საკმარისი და თან ფიქრობ, რომ არც საოჯახო საქმეს ელაღატება.“**

ინტერვიუ დასასრულისკენ მიდის. ნინოს ვეკითხები, მისივე გამოსახედოდან, უსურვებდა თუ არა საკუთარ შვილებს თვითონაც გამხდარიყვნენ მრავალშვილიანი მშობლები, ავლთ ის პასუხისმგებლობა რასაც თავად გრძნობს, იყვნენ მუდმივად მომართულები და არასოდეს მოდუნდნენ. **„მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ჩემს შვილებს მაინც ვურჩევდი და ვუსურვებდი მრავალშვილიანობას. დედამიშვილობის ბედნიერების განცდა და ის უდიდესი პოზიტივი, რაც ამ ურთიერთობებს მოაქვს, ვერაფრით ჩანაცვლება.“** - მპასუხობს ის.

გიორგის, გიგას, თამარს და მარიამს ნამდვილად გაუშვართლათ, რადგან გვერდში ეყოლებათ ადამიანი, ვინც მათ განათლებაზე, წინსვლაზე, მუდმივ განვითარებაზე თუ პატარა პატარა ბედნიერებაზე იზრუნავს. ნინო გვერდში მსგავსი მათი და ის ადამიანი, რომელიც სტატუსებს მიღმა იხედავს და კარგად აქვს გატყუებული რამეული, რომ არ არსებობს უფლება მოვალეობის გარეშე. სტატუსებს მიღმა კი ხშირად გაზაფხული კი არა, ადამიანები არიან, თანამდებობები და რთული გუნდები, რომლებიც ჩვენს მენტალურებასთან ან ახლოს დგანან, ან არა. ან ესმით ჩვენი სამთხველი, ან არა. ამ ერთი პატარა, მაგრამ დიდი მამალითი ვამბობთ, რომ პრობლემების მიუხედავად, სტატუსების მინიჭების თუ არ მინიჭების ფონზე, მნიშვნელოვანია ჩვენი მოგვარების გზაზე. სტატუსებს მიღმა, ალბათ, მინც... გაზაფხულია...“

ქუშუნა ყანაშვილი


უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

დავით ნადირაშვილს! რუსუდან ბერუაშვილს!



თებერვალი ჩვენი ოჯახისთვის დიდ სიხარულთან ასოცირდება. 27 თებერვალს დაიბადა გაბრიელი. ახლა ის 9 წლისაა. 2020 წელი მისთვის და ჩვენთვისაც ორმაგად სასიხარულო აღმოჩნდა. გაბრიელმა მონაწილეობა მიიღო კინგსის მათემატიკის ოლიმპიადში და დაჯილდოვდა დიპლომით. მას ასევე გადაეცა სერთიფიკატი, როგორც მაგთის აკადემიური კლუბის ბონუს კითხვის გამარჯვებულს. ჩვენო საყვარელო შვილიშვილო, გილოცავთ დაბადების დღეს და ამ სერიოზულ წარმატებას. დავით და რუსუდან, გაბრიელთან ერთად თქვენც გეკუთვნით ეს გამარჯვება. მშობლებს დიდი როლი აქვთ შვილების სწორად აღზრდის საქმეში. გაბრიელ, დაე, შენი ცხოვრების გზაზე ბევრი ასეთი გამარჯვება გვეზიგოს ერთად!

სიყვარულით, აააა ოთარი, ბაბივი: ქუშუნა და გულო, გამიდა ნინი, და ქეთი, ღათო და ნუცა ცოტინაშვილები.



ამინდი	დედოფლისწყარო
ორშაბათი 2.03 დღე ღამი	სამშაბათი 3.03 დღე ღამი
ოთხშაბათი 4.03 დღე ღამი	ხუთშაბათი 5.03 დღე ღამი
პარასკევი 6.03 დღე ღამი	შაბათი 7.03 დღე ღამი
კვირა 8.03 დღე ღამი	
6° 2° 9° 4°	9° 5° 12° 7° 14° 8° 15° 8° 11° 6°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუშუნა ყანაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭავაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.